1916/3
188

თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი

№ 27 - 1916
კვირა, 3 მკათათვე

ფასი
12 კ.

წელიწადი მეოთხე
გამოცემისა

ალექსანდრე ანტონის ძე ცაგარელი
დამსახურებული პროფესორი პეტროგრადის უნივერსიტეტისა, ამ ჟამად თბილისშია.
(სურათი გადაღებულია 12 წ. წ. იტალიაში)

ვ ქართველ

გაუთავებელ- საქართველოს მტრები მუდამ **ლი შული.** ღმერთს შეღაღადებდენ: ღმერთო, ქართველებს ერთ პირს ნუ მისცემო!

ამაში იყო ჩვენი უძლურება —მტრების ძლიერება.

ამ ერთი პირის უქონლობამ რაოდენი ცრემლი გვაფრქვევინა, რაოდენი დოვლათი დაგვიღუბა,—ვინ აღარ იცის?

მოიგონეთ ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხე-ხეობის ბატონთა ერთმანერთთან მიხტომ-მოხტომა და მით ხალხის ანიავება!

მოიგონეთ საქართველოს თვითთარსებობის უკანასკნელი დღენი, ბატონიშვილნი რომ ერთმანერთს დაერიენენ და მთელი ქვეყნის სიკეთე პირადგ ულის თქმას ანაცვლეს.

მაგრამ ისტორია სხვებს თუ ჭკუას ასწავლის, ჩვენ გზა-კვალს გვიბნევს.

ეს ისე ძველია, რომ არც-კი გინდა ახსენო.

პარტიულობა-ჯგუფობრიობამ არა თუ **ეროვნულ ხალხისანური** ალღო, ლამის **ადა მიანური** ღირსებაც დაგვიხშოს...

ამ სისხლის ნიაღვრების დროს სხვებმა თუ გაერთიანებისკენ მიისწრაფიენ, საკუთარი ჭერისა და კერის აშენებას ცდილობენ, ჩვენ ერთმანეთის დანელებით ჩვენი ქვეყნის მომავალს საფრთხეში ვაგდებთ...

და აი ჩვენი გზა-დაბნეულობის შედეგებიც...

საქართველოს მიწა-წყალი იყიდება და **უომრად** სხვის ხელში გადადის!..

გლეხკაცობა **ეგეოლ**ობის მორევში იფლობა!

აღარ არის დანდობა

დიდს ილიას შუბლი გაუგმირეს!

ბრწყინვალე აკაკი რა ჯორებით არ შეამკეს!

დიდი ნიკო ვერ გოგით დამნაშავის სკამამდე მიიყვანეს, დაჭგმეს და შეაჩვენეს—ის ნიკო ნიკოლაძე, რომელიც მთელი ნახევარი საუკუნე ჩვენს წინმსვლელობას, ჩვენს სულიერ-ნივთიერ აღორძინებას ემსახურებოდა, ჩვენს ბედსა და უბედობას უბით ატარებდა...

ბალღმაც კი იცის, ვინ არის ნიკო!

ილია, აკაკი და ნიკო, აი სამეცინიერო სამება, რომელმაც სულთმობრძავ საქართველოს განახლების სული შთაბერა...

არ დაინდეს გ. ზდანოვიჩიც და სხ. რომელთაც კაცებადა ვსთვლიდით...

ერთი მეორეს სამარეს უთხრიან და ის კი არ იციან, რომ თვითვე ცვივიან სხვისთვის მოკრილ სამარეში...

და რა სიტყვებით არ ამკობენ ერთმანეთისა მტრისა და ავადმახსენებელთა სასიამოვნოდ,—

ჩვენი უბედური ქვეყნის საზიანოდ..

არა, ჩვენს ხალხს უფრო დიდი წარმოდგენა ჰქონია ჩვენს მოღვაწეებზე, ვ დრე თვით მათ და აგრეთვე ოდებულ »მოღვაწეებს«, რომელთაც სახელის მოპოება სვისი დამცირებითა ჰსურთ! .

ჩვენი ქვეყნის ნაამაგდარო შვილნო, შეჩერდით მოლიპულ გზაზე ნუ შემდგარხართ და ერს თავქვე ნუ მიაქანებთ.—

ჩვენს დღეკანდელს მდგომარეობას შეთანხმებული, ყველა ცხოველ ძალთა შემოკრეფილი მუშაობა ეჭირვება და არა გაუთავებელი შელი!

ასეთი დრო ას წელიწადში ერთხელაც არ მოვა...

ისტორია პირუთვნელია და **იგი** სასტიკ პასუხს მოგთხოვთ...

ძრწოდეთ ისტორიის წინაშე!

ბატონი და ყმა*)

(ვუძღვნი საზოგადოების წამებულს ყმას — ვ. გუნიას)

ჩვენს დედა-ქალაქს **ესტუმრა** ა. ი. სუმბათაშვილი, და თბილისის ქართველმა საზოგადოებამ ადარ იცოდა, რითა ეტაბატივი, **ედიდ**ებინა, მოეადგილებინა უგზოოში სასეფ-მახვეწილი თანამემამულესთვის...

ბ სუმბათაშვილის სტუმრობა დაუკავშირდა ვ. დ. გუნიას იუბილეს შესახებ ადძრულს

*) ეს წერილი მიღებულია სამი კვირის წინად და თუმცა დრამ. საზ-ის საგანგებო კრებამ უკვე გადასწყვიტა ვ. გუნიას იუბილეის გამართვა, ამ წერილს მაინც ვბეჭდავთ ფართე საზოგადოების საყურადღებოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოხვს, და ამ ორმა სრულებით შემოხვევი-
ო დრო მოშლერმა ამბავმა განსაკუთ-
ებული ფიქრები გამოწვია ჩემში...

ს. ი. სუმბათაშვილი ჩვენი მოძმეა, მხო-
ოდ იგი მოსწყდა ჩვენს სიზოგადოებას და
ამ განვითარებ, ცხოვრების კალაპოტი ჩამო-
ოდებს უცხო ქვეყანაში. ბ. სუმბათაშვილს
ან წაეყვა მხოლოდ მდიდარი ბუნება, რომლის
ნვითარებაშიც ჩვენი ცხოვრების პირობები არა-
თარ მონაწილეობას არ იღებდნენ არც წარმა-
ებაში, არც შეფერხებაში. ეს მდიდარი მისი
ნება უცხო ქვეყნის დიდმა სიზოგადოებამ შე-
ნო, დასაბარა, განვითარა და ეგორეგვინით მო-
ალი „ბეკოთხოვა“ ჩვენ ორიოდე დღით...

ჩვენთვის ეს უცხო სანახაობა იყო და ეკი
არაჩვეულებრივი ზეიმით შეგვდით ამ სანახაობას:
. სუმბათაშვილი მიგიდეთ, როგორც ეგორეგი-
ოსანი, როგორც სულიერი ბატონი! მამა-კაცნი
ეკლის-სიტყვებით, მანდილოსნნი თაიგულ-
ფერსით,—ფერხო ეკუშაღეთ, ვისაც-კი რა
ოგვეფოგებდა!..

უნებლიეთ წარმომიდგა მეორე სურათი:
ამ ბრწყინვალე ზეიმის მოშორებით, ერთი
ამის პირას აწოწილია მრავალსართულიანი,
მრავალ-დერეფნიანი, მრავალ-ლობე-ფურდმეფია-
ი სახლი, და ამ შენობის სულ ზევითა სარ-
ულის კიდეკ ზევით-კახურებული სხვენი...
ქ, ამ კახურებულ რკინის სახურავის ქვეშ ცხო-
რობს ჩვენი დაბსახურებული მოდვაწე და მო-
ამაგრე-ეშა—ვალერიან ფეფანის-ძე გუნია...

დიდ,—ბრწყინვალე ზეიმებმა კამპხსენ
ნელი ჯურღმულები და კახურებული სხვენი!..
ვენმა ხულიერმა ბატონმა ს. ი. სუმბათაშვილმა—
ჩვენი მოგამაგრე—ვ. გუნია!..

კამპხსენდა ეკვალ ეს და ქარიფელ სიზო-
ალადგებას „ბუდ მხურვალე“ ზეიმების **მოლვაწე
პირის პატივსაცემად** ეკმარიდი მოებანა: დარ-
ა მხოლოდ ტრაფარეტული სიტყვა-თაიგულები,
ეფორა დემონსტრაცია, ჩვეულებრივი ნადი-
მის ჭარალეკ-თარალეკ!.. სტუმრისა ბატიკი ეკეთო
და ჩვენ დრო სიამოვნებით გავატარეთ!..

რატომაც,—სტუმრის ბატიკისაცვა კარგია;
არც ნადიმობა დაეძრახვის მიწის შვილს, მაგრამ
ებრალო გრძნობის ჩამოგაშოროთ მალალ-თარდო-
ვანი ბაირალი!

მ ს ა ხ ი ო ბ ი

ანდრო მურუსიძე

ხონის თეატრში მიწვეული.

რადგანაც ბედნიერებით ამოუვალ თავ-აწეულს მგოსანს ვარდით გზას ვუფენთ და იმავე დროს ფეხ-შიშველს მოგიქცულს „ნიბანსა ვრთავთ“ სხვანის სუფთა ჭაერით ისაზრდოვოს,—

რადგანაც ბირველის სკეუთარს ავტომობილში მზადა ვართ შეგებთ და „ეკანსა“ ძახილით ქვეყანა დავაურეთ, მხოლოდ მეორეს-ეკ „ნიბანსა ვრთავთ“ კახურებულ სხვენის ქვეშ ბუდ-დოს როგორმე სნეულებას,—

მაშინ სიზოგადოებრივ სიყალბეს ვეარავითარი ბაირალი ვერ დაჰფარავს!

შესაძლოა, ვინმემ გკითხოს,—რა შესაბარებელია ვ. გუნია ს. სუმბათაშვილთანა!.

ასეთი კითხვებ მხოლოდ იმის დამტკიცებს, რომ ჩვენ ვფიქრობთ უფრო თავადებით, ვიდრე ნამდვილი ადამიანებით!..

ეტეუსრმა ნიჭმა ბ. სუმბათაშვილს თავი ვერ ეგორეგინით შეუმეკო, მაგრამ ბალათავადიერეთ ვ. გუნიას მრავალ-ფერეფანი სიზოგადოებრივი მოდვაწეობა; კიბისენეთ, რომ მთელი თავისი არაჩვეულებრივი ძალა-ენერგია, სიმტკიცე, შნო შეადინა ჩვენს ცხოვრებას, და თუ შეგეძლიანთ, ეკვალ ამას თავი მოუყარეთ ერთ ჯაბში და ასწონეთ!..

ს. ი. სუმბათაშვილი სიერმიდანვე გაუსხდეტა ხედვას ჩვენს სრიოკ ცხოვრებას: მისმა ნიჭმა ჭოხიერი ნიადაგი იპოვნა ეტხოვეთში და თამამად ბალიკა იქ ფესვები. დიდ სიზოგადოებაში განიმტკიცა ბრძოლითი ბასიათი და როგორც მატერიალურად, ისე ზნეობრივად უნაკად იქმნა დაჯილდოვებული. ფეკეს ბურუსად ფიქრმა არ ჩანოქა მისი დრო, ენერგია, ნიჭი; სარდაფ-სხვენები ცხოვრებამ არ დაუხოტავა, არ ბაჭოა უფიტა არც ერთი მისსადა შემოქმედებისა. მისი სული და ხორცი განთავისუფლებული იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრების ჯუჯეანი წვრილმანობისაკენ და მოდად მიბურბადი მადად კანეიანრებს. კანსოდგუდი ეგრეთ ფეხქვეშ მოდი და სეფოვენ-მნეთობთ შორის თითონაც სწორ-მნეთობად ჭერძნობდა თავს; კადადებული ნიწი ანსად და ანაგისთან ან ჭერეობადა, ან ეგრძადებოდა და ნაგდ წუფერი თამბმად ეფრქვეგდ შექს! შეჭსედეთ ბ. სუმბათოშეიდს: რაოდენი სითამამე, [illegible] ...ანსა ძადის შეენეს ეხატეს მის კარეენობაში!..

ახდა კადხედეთ ვ. ეუნიან...

მისი მსოფდიო მოემწეედა ქ. თბილისში. სუშადო სასწეადებედშიგე მოეეხო სწეადის მიდების სიზმარი და იმ სიერმიდკენ ედეეენ-ედედ ედემდე მისი ცხოვრება ეარმოდგენს უსვეენებედს ფართხადს ოთხ კედედს შეს!.. ედეემ ბეარის ქიმა, ოკანხის კაძდოდა, სხვენი, სარდოეი და კანეწეეეტედი სახოგადოებრივი მოდგეწეობა ეეტანედს ბერობებმი! ამ მოწეამერივ ცხოვრებისოვის მან მიიდო ჯიდდიდ ნიეოიერი სიდატკვ და ათისკვარი ზნეობრივი სასჯედი; სასტეოთ ნამდვდ ბრძოდას მოკედებედმა ვ. ეუნიამ ძადდონე შენდა ნხადენა კატენის ბეეზარს კანეიდს; სედი და ხორცი იდეოდა მოსეედ ედეეეთოდ წერიდმანობის მოკერიებაში, **ამიც ერთი წეთი დამშვიდებული სულის შემოქმედებისთვის!**.. რადაც ეეგრეთ, კანსოდგუდედ ქვეეენანთ სასწეადდო-მოქმედება ვ. ეუნიასთვის მხოდოდ წეიკენებიდან ამოკითხედი ზდებრებია;.. თბილისშია—ან იცის, რომედ სახადხო თეატრის დაფდეთიდ სცენაზე კანსახეერის „ედატი“. წავა ბროვინციაში—ან იცის, ეკენ როგორდ დაბრუნდეს, და ესე მეედმეე წერიდმანობაში ჩაბმედი, სახოგადოების ჯუჯეანი სარეტხის მედმეე რეტხეში თითონაც, ეჭვი ან არის, ხედვედება; ნიწი ქუმბცდება, კრთება, ეფერედდება...

შეხედეთ ვ. ეუნიას, რადესაც ის სკეთარა... ფეკნებით (კინსდან ანტომობიდი წამომცდა!) მიემეზაგრეს ქადაქის ერთი უინდან მეორეში: მკვიდრ ს, შეედრეკედს, მაკრამ თავჩადეეენედს რადაც სიადუმდო ტანკვეთთ ეედჩათხრობიდობა აწერია ზედ!.. ანა, ეს სუმბათოშეიდის მსკვანი თამბი ოდიმბიეთი ან ანაა!..

ახდა წარმოიდგინეთ ა. ი. სუმბათოშეიდი ვ. ეუნიას (ფუ, ეშმაკს!) ბედში: „ბეეეეე ხეენდრადი ნიწი ოთვისი, მხოდოდ ცხოვრების ეოეედი ბერობები ვ ეუნიასი: შეედმეი კანჭერეეეეა, მატრაკვეეტებთან ანტიდებედი კინკდასობა, სასხდხო სტენენების ძიანება, რადდებისთვის ნათხოვარი შდდგრები და სხვა,—რა იქნებიდ ედეს ა. ი. სუმბათოშეიდი?—უკეთეს შემთხვეეეაში იკითეეეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებებს ამდენად არა აქვს მნიშვნელობა, როგორც პრეზიდიუმის **გარშემორტყმული** შარავანდედს; ან ტატ ხანში დახარჯული ზეიმ-სიტყვა თაყვანდებიც ეძღვნა უფრო ს. ი. სუმბათაშვილის **ციერგვინს**, ვიდრე მის უტეკარს ნიჭს.

რა ბრწყინვალე გვიერგვინთა აქვს თავი შესული ვ. გუნიას? არაფერთან!.. მოსკოვის კაპიტალების რედაქტორ-კომპოზიტორად ის არ ეოფილა, რუსულ ენაზედ არ წერია, რუსულ სტენაზედ არ უთამაშნია, რუსული ბრესა მას არ ეფრობს და არც უოქვამს-რა, ბელინსკი გერცენ-ოგარევ-ტკანეკინთან შეგობრული ნაგზობა არა ჭერნია—მაშ რა?! სად არის ან შარავანდედი ან სენსაციაა მაინც?!. ის ხომ არა, რომ გუნიამ მთელი თავისი სულიერი სიმდიდრე ქართველ სახოგადოებას შესწირა და თითონ-კი თავების სოროში შემძვრალა! მაგრამ...

ერთი სიტყვით ვ. გუნიას ბეჭედი ალა მარკა არ აკრავს, ეს კი ჯუტალებელი ბირობაა სახოგადოების ინდივიდებისთვისა...

ამისთვისაც არა ვეჯერა, ვითომ ჩვენ სამი კვირის განმავლობაში ეარა-ეარა ვაგალეოდით ბ. სუმბათაშვილის **ნიჭის და დამსახურების** ადასნიშნავად. ჩვენ მხოლოდ კეკლუცად თავლებს ეუჟეუტეოდით Южин-ის კვირეკვინს. .

ვ. გუნიასთვის-კი იქამდის კვწედებ ჩვენი, რომ თუკი მისი მოდგეწობის ეუბილეს კადეწეკეტს ბ. სუმბათაშვილის ერთკვარი ბრილიანტ-კი დასჭერდა!..

კანა ს. სუმბაშვილმა-კი ვერ ეკრძნო, რომ ქართველ სახოგადოებას შინ არავითარი სამდოცეკელო არ მოეთოვებ და მზად არის უცხოეთის კერძებზედ ეკრაოს თავისი ფეკეს-ყატი ყინი?!..

ნ. ტუსკიაშვილი

ᲘᲥ ᲕᲜᲐᲮᲔ

..... და იქ ვნახე. იდგა ჩანჩქერის პირას, ყვავილებით სქლად ამოქარგულს ტყის პატარა მწვანე მდელოზე,—იდგა და ამშვენებდა დედამიწას, უფრო აშუქებდა, სინათლეს უმატებდა მზიან დღეს... ამალლებული მნათობი ტყის წვეროდან მორცხვად დაყურებდა იმას, ახვევდა სხივებს, უქარგავდა ცისფერ სამოსელს, აწყვიდა ოქროს ძაფებს ჩამოშლილ გიშრის თმაში, რომელზედაც ეფრქვია ათასფეროვანი მარგალიტები ნამის წვეთებისა, თითქო ვარსკვლავებს დაეყარათ იმისთვის ცრემლები, როცა ეთხოვებოდენ ცის მშვენიერს ქვეყნად გამომგზავრებისას.

იდგა ყვავილებში; ღვთიურ სახეზე ეშნეოდა უზომოსილება, და მღეროდა—ციურ ხმით ცის ნანინას დაკვნესოდა ოცნებით გატაცებულს არე-მარეს, და იმის ნაღვლიანი ჰანგები, ქვეყნისადმი სავსე სიყვარულით, ქვეყნისთვის ცაში ამოსხმულ ზარის ხმასავით ნელის კანკალით ვრცელდებოდა გარშემო, საპასუხო ამონაკვნეს იწვევდა სადღაც ტყის ამარხებოდა სამუდამოდ ძველი ტყის საიდუმლოებიან სილრმეში. არ ინძრეოდა სურნელოვანი ჰაერი; ერთ ფოთოლსაც ვერ გაებედნა დაერღვია შრიალით საყოველთაო დუმილი

ცრემლივით სუფთა ჩანჩქერს შეეწყვიტა იმის წინაშე მუდმივი ბუტბუტი,—არ ესაყვედურებოდა სხვა და სხვა ფერადან წვრილ ქვებს და ბალახებს გადაწვდილ თავთავებს.—ფრხილად, მოპარვით გადაეშალა ბროლის სარეკ და სტაკცებდა ცის მშვენებას დკოიურ სახეს,—სტაკცებდა, რომ ეანდერძნა ქვეყნისა თვის მუდამ საოცნებო და საძებარი...

და იქ ვნახე სულით ტანჯული, მიველი, ვეცი თაყვანი და შევსძახე:

— ცის ასულო, ვეღირსე და გიპოვე უნაზავი, რომლისადმი სიყვარულის მდაგავი ცეცხლი მინთია გულში, რომელიც ერთხელ მოგელანდე, მომხიბლე, დამიმონე, ამავსე იმედით და გამხადე მუდმივ მეოცნებე და მაძებარი... შენ დაგეძებდი ქვეყნის სივრცეზე, სევდით გეძახდი ბნელ ტყის ბურულში,—ნიავს გაჰქონდა ჩემი ნაღველი და ძახილს ჰკარგავდა ნაძვების შრიალში... შენზე ვსტიროდი მშფოთვარე ზღვაზე, მქუხარე ტალღებს ვეკითხებოდი, მაგრამ ნუგეში ჩემთვის არ იყო და კვლავ გეძებდი, ისევ გეძახდი... და აჰა, გნახე ქვეყნად ჩამოსული ცის მშვენება, მზის ასული... და გეკვედრები, ნუღარ დასტოვებ ბედ კრულ ქვეყანას, რაკი მოსულხარ—დარჩი მიწაზე. . შენ შეგხარის ტყე და ველი; მზე გიცინის, გამკობს ისეც ღვთიურს; ყვავი-

ლებიც, ხედავ დაგხვევიან და შეჰნატრიან შენს მშვენებას., ანგელოსისებური ხმა სწვდება სოფლებს და ქალაქებს, და იქ აღტაცებით გასმენენ,—შენს ჰანგებში ეხატებათ სხვა ქვეყანა, სხვა ცხოვრება, სიყვარული და მშვენიერება... ოჰ, რა ბედნიერი ვარ, ცით ჩამოსულო!.. რა ბედნიერია ეს ქვეყანა, სადაც შენ აღმართავ დიდებულ ტახტს სიყვარულისას!..

ასე შევსძახე ჩემს სათაყვანოს და განვიზრახე ახლოს მივალ.

მაგრამ შემომხედა, შემომხედა ისეთი, განცდით სავსე თვალებით, ღვთიური სახე ისე მოეღრუბლნა არამიწიერ ქმუნვას, რომ გაქვავებულივით ვიდექი.

და მითხრა:

— არ მომეკარო, ქვეყნის შვილო, არ გამხადო მომაკვდავი... მე ვარსკვლავნი მორით მეჭვრეტენ და სტკბებიან ჩემი ნახვით, განვშორდები—ცრემლებს ღვრიან, წუთებს სთვლიან, როცა მნახავენ... ეს ქვეყანა კი მე არ მიმიღებს და, რომ მიმიღოს,—მეც დამამცირებს... აქ ვერ აღვმართავ სიყვარულის ტახტს და ქვეყნის შვილსაც ვერ შევიყვარებ...

რა მოვისმინე, ასე შევსჩივლე იმედ დაკარგულმა:

— ვი ამ ქვეყნის შვებას და ჩვენს ცხოვრებას! თუ ქვეყანა ძველად დარჩება და კაცის ცხოვრებაც არ შეიცვლება, თუ უნაყოფოა ნატვრა ჩვენი ლაჟვარდოვან ცის, თუ ამაოდ შეესცქერით ცხოველ მყოფელ მზეს, ვარსკვლავებით სქლად ამოქარგულს ცის უფსკრულს დი რაღაც განგებით კი დაწყევლილნი ვართ, რომ დუხჭირს ცხოვრების ჭუჭყიანს ტალღებს შუდამ ვებრძოლოთ, ვერ დავსძლიოთ და დაქანცულნი სამუდამოდ შთავინთქათ სულიერ სიკვდილის შავ მორევში,—მაშ რად მოევლინე ბედკრულ ქვეყანას? რად ასმინე კაცს ციური ნანინა? ვარსკვლავო შესაფერ ღვთიურ ჰანგებით რად აუფელვე ტანჯული სული, აწმყოს მოსწყვიტე მისი გონება, იმედის სხივი კვლავ გაუღვივე,—შეუბარალებლად რად მოსტაცე ოცნება და მიაკარ უიმედო მომავალს, უნაყოფო ლოდინს?.. ისევ გაჰქრები სიზმრად მოსული... მაგრამ... ოჰ, დახე: ეს ჩანჩქერი, ბნელი ტყის სარკე, ყველი ცრემლით ამოსხმული, ცის მშვენებას სახეს გტაცებს, რომ შეინახოს და ზოგჯერ ეჩვენოს სულით მძებნელს... გაზაფხულზე ტყის გულიდან, ტყის შრიალში ამონაკვეთ მთის ნიავი კვლავ ასმენს მის ციურ ჰანგებს და აქ, ხედავ, ყვავილებზე მოელვარე ბროლი წვეთებს,—ამთავე მოუბარავთ შენი სახე, რომ ალე გაჰქრენ და თან წაიღონ შენგან ძვირფასი სახსოვარი... კვლავ დაეპკურებიან ბალახ-ყვავილებს. კვლავ ათამაშებენ მზის სხივებში ღვთაება ლანდს—და ვაი შენს მოტრფიალეს, ოცნებით გატაცებულს და უიმედო მძებნელს!..

— ქვეყნად მოვსულვარ – ვარსკვლავებს ვეძებ, სევდითა ვმღერი და მათ ვეძახი, მაგრამ ფუჭია ჩემი ძახილი: ვინ გაიგონებს, თუ არსად არის...

სთქვა და აქვითინდა, ყვავილებს დაეყარა ცხარე ცრემლები, შემომხედა, მერე მზეს მიუბრუნდა, გაუცინა და დადნა სხივების კოცნაში.

მივვარდი—და აღარ იყო. იქვე დავეცი და დავიყვირე—სად გეძებო, სადა?!...

რეკანი, 27/III 16 წ. **გაბრიელ გოგუაძე**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების საგანგებო კრება

ქართ. დრამ საზ-ის საგანგებო კრება ბ. დ. ყურდის თავმჯდომარეობით, შესდგა შაბათს, **25** თებერვეს ახალი კვუბის დარბაზში. თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ი. ეუდოშვილის, ედ. დარიაშვილის, ალ. მახინოველის და ალ. ეიფშეიცის ხსოვნას.

ახალ წევრთა შესახებ კამკოლების დადგენილების თანახმად კრებამ ერთხმად კანდიდატ წევრად: ახლად მიღებულ წევრებს არწეკანთანაგე მიენიჭოთ სათათბირო ხმის უფლება, ხოლო შემდეგ კრებაზე—კანდიდატ წევრებს ხმის უფლება, რომელი წევრიც წლის განმავლობაში საუკეთესო კანდიდატობას არ შეიტანს, წევრობის უფლებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭერგვს. წევრობის უფლების ადგენილისათვის უფლება დაკარგულმა წევრმა უნდა გაგზავნიდის კომოტოვებულ წერილის საწერო გაგზავნადი.

ვალ. გუნიას იუბილეს შესახებ კომეტობის მოხსენების თანახმად კრებამ ერთხმად დადგინა: ამა წლის შემოდგომაზე კიბეზროთის დამსახურებულ მსახიობის, დრამატიკოსის და საზოგადო მოღვაწის ვ. გუნიას 35 წ. მოღვაწეობის იუბილეს; დაიწერის ვ. გუნიას ბიოგრაფია, რომელიც ამავე დროს მომხიდვა იქნება ჩვენი სასტენო ხელოვნების ადორძინებისა ამ იუბილეს მოსაწყობად კომეტობის დასახმარებლად ირჩია კომისია (კნ. ან ად. მაჩაბელისა, ვ. ა ანაბეშვილ, ი. ე ელეფთერიძე, ად. ო. წეწეგვა, ად. ანანიაშვილი, ნ. ბოგერიძე და ს. ახვლედიანი). კომეტობას უფლება მიეცა საჭიროებისა, შეძრ კომისიაში სხვა პირნიც მოიწვიოს.

საათეატრო საზონის კიდდადა კრებამ კომეტობას მიანდო. ამ საქმეში კომეტობის დამხმარედ ირჩიეს: კნ. ან, ად. მაჩაბელისა, ი.დ. ზურაბიშვილი და ვ. ბაოიერიშვილი.

პენსიები ადგენილ ეძლეოდათ შემდეგ მსახიობთა: ვ. ანაბეშვილ—840 მან. წელიწადში, ბ. ბ. სოფ-ანაშვილისა—600 მ., კ. ბესიხა ქვრივს—300 მან. კომეტობის წინადადების თანახმად კრებამ ერთხმად დადგინა: ამა წლის 1 თებერვალან წელიწადად ეძლეთ ვ. გუნიასა და ვ. ად ბესიხაშვილს თითოეულს 840 მან. ავადმყოფ მსახიობრეკისთის ყდ. ბალეკაშვილს დაენიშნა თვეში—50 მ., რომელიც უნდა ეძლეთ ერთი წლის განმავლობაში. სპენსიო თანხის გასაძლიერებლად ეკოვდ წელ მოელ საქართველოში უნდა კომეტობოთ **მსახიობ-პენსიონერთა დღეები**, დრამატიკულ საზოგადოებათა და წრეთა თანხმობით. სპენსიო ხარჯის გასტუმრება სხვა დრამ. საზოგადოებათაც უნდა იკისრონ.

სარეგიზორ კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ი. ბ. ჯანტერია, ირ. რამიშვილი და ვ. ბაჟვაღრანი.

—**ლი.**

ბოლიკულ

ბზაზე

(გაგრძელება)

იხ. „თ და ც.“ № 26

ქეთ. შეირთავდი?! მერე როგორ შეირთავდი, როცა შენი გული სხვას ეკუთვნოდა? ოხ, რა შემცოდე იქნებოდი, მაშინა! არა, მე არ შემიძლიან ეგ ჩავიდინო!

მაშ. არა, ქეთინო, შეკერთავდი, გაუწევდი სამაგალითო ოჯახის დედობას, რითაც ჩემს დამლუპველს დაუმტკიცებდი, რა რიგად მოტყუებულიყო თავის საქციელში. შენ პალიკოში არასდროს არ მოტყუვდები. არც ის მოითხოვს შენგან მომეტებულ აღფრთოვანებულს საყვარულს, რადგან თავშეწირულია! შენი ნიეიც წინ წაიწევს, გაორკეცდება. ხომ გახსოვს ერთ დროს რა ნაირად ზრუნავდი მისთვის, გიხსენე? დაუბრუნდი იმ დროს შეაბრალე პატიოსანი ადამიანი, მიიღე ტანჯვით გამოწვდილი ხელი იმისგან, რომელიც პატარაობიდანვე შენს მზეს და მთვარეს ფიცულობდა!

ქეთ. არა, არ შემიძლიან! ჩემს გულში ოქრომ სიყვარულის ლამპარი აღანთო და აღარ ჩაქრება იგი!

მაშ. ეგ სიყვარულის ლამპარი ყალბი გამოდგა და ვერ გაანათა!

ქეთ. ესე მაშინ, მაინც არ შემიძლიან დავივიწყო, არა და არა!

მაშ. ქეთინო, ერთ რამეს გეტყვი და ეს მაინც ამისრულე.

ქეთ მითხარი

მაშ. პალიკომ მთხოვა, ერთი ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი ნება დამრთოს, რომ მოვახსენოვო. იცი ის აქ არის, დედას ელაპარაკება და მელოდება რა პასუხს გაუტან.

ქეთ. კარგი. მოვიდეს. მითხრას რა აქვს სათქმელი! მხოლოდ აღარ გამიხსენოთ არც შენ და არც დედაჩემმა პალიკოს შერთვაზ?!

მაშ. კარგი. (გადის)

ქეთინო. (თვალებს სიფრცეს მიაჭერობს. დიდი ხანს.)

II

პალიკო და ქეთინო.

პალიკო. (შემოვა) ნება მიბოძეთ, ქნიანენა, მოგელაპარაკოთ ერთს საგანზე.

ქეთ. შეგიძლიანთ, მაგრამ ძნელად თუ დავაკმაყოფილებ თქვენს საკითხებს.

პალ. არა, მე მინდა მოგელაპარაკოთ მარტო იმ საგანზე, რომელიც ერთად ერთი საშველი ლონისძიებაა, რითა თქვენი ტანჯვანაღვეული შეასუმბუქოს, გაქროს!

ქეთ. ჩემი ტანჯვანაღვეული შეასუბუქოს?! მერე ვის, ან რას შეუძლიან?

პალიკო. ოქროს დაბრუნებას... მის თქვენთან მახლობლად ყოფნასა! პატიოსნებას გეფიცებით, გეფიცებით მას, რაც კი ჩემთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემო მუხთალო ბედო

— ჩემო მუხთალო ბედო, რათ ხარ მიზეზიანი,
რათ დამაგდე იმედო, ასე გულ-სევდიანი?
ვსტირი მე ჩემს ტკბილ წარსულს, ჩემს ტანჯვას წინ ვეწევი:
სიყმაწვილეს დაკარგულს—შვებას ვერ დავეწევი!
გულ-წრფელად ვის ვუყვარდი, რომ მტკიცედ შევიყვარო?
ჩამოკნაჭ. ჩემი ვარდი—ოცნებისა სამყარო!
მე რომ გულს დავეძებდი, ის ჩვენში არ ყოფილა:
მხეცი დაუნდობელი კაცის სახით შობილა!
ეჰ, ვინ მასაზრდოებდა დუშმან გულის უბეში,
თუ ყველა დამტოვებდა, მიმუხთლებდა ნუგეში?
მიპასუხეთ: სად არის სათნო ადამიანი,
გრძნობებით რომ არ ვაჭრობს. სულით სხივ-მადლიანი?!..
მაგრამ ძირს სევდის ფარდა, ძირს მეზვერე ვაჭარი;
ძირს ყველა, ვინც მიყვარდა ფლიდი და საზიზღარი!
ვსტირი მე ჩემს ტკბილ წარსულს ჩემს ტანჯვას წინ ვეწევი:
სიყმაწვილეს დაკარგულს—შვებას ვერ დ ვეწევი!..

დარია ახვლედიანისა

წმინდაა ქვეყანაზე, რომ თქვენთვის, თქვენს დასამშვიდებლად თავი არ დავზოგო, ნურც დაჰფარავთ მას, რაც ჩემთვის უკვე დღესავით ნათელია. მიგულეთ თქვენი გულის შემატკივრად, მომენდეთ, როგორც, თქვენს ძმას. მე ყველაფერს შევისრულებთ.

ქეთ. დიდად გმადლობთ, პალიკო, მაგაში ეჭვი არას დროსაც არა მქონია, დარწმუნებული ვარ, ჩემთვის სიკეთე გსურთ მაგრამ სამწუხაროდ, მაინც ვერ შეიძლებთ ჩემს შველას.

პალ. ვეცდები... აქამდისაც შევასრულებდი, რომ თქვენგან ნება რთვის ლოდინი არა მქონოდა.

ქეთ. რაზე?

პალ. წავიდოდი ოქროსთან, მოველაპარაკებოდი, გავიგებდი მისგან ნამდვილ მიზეზს, იქნება სრულიად სხვა ფრივ არის საქმე ჩვენ კი ტყუილად ვიტანჯებით!

ქეთ. ასე ღვთის გულისათვის ნუ იზავთ მაგას! ამაზე მეტად ნუ დამღუპავთ, ნუ დამამდაბლებთ! როგორ? თქვენ წახვიდეთ ოქროსთან, სთხოვოთ, იქნება კიდევაც შეაბრალოთ ჩემი თავი?! რას ემგვანება ეს ყოველივე? არა, არა! თუ გინდათ ჩემი მეგობრობა, პალიკო, თავი დაანებეთ მაგ განზრახვას, რადგანაც ჩვენ შორის ყველაფერი გათავებულია! ოქრო თვალსაც ვეღარ მომკრავს, არც საჭიროა მისი დაბრუნება, იმის საქციელის შემდეგ, ნუ სწუხართ, ჩემო კეთილო მეგობარო! ჩემს უბედურ ხვედრს, მევე ვზიდამ!

პალ. თქვენი ნება იყვეს. თქვენს სურვილს წინ ვერ აღვუდგები. ჩემი ნატვრა კი არის, რომ მოისვენოთ, მაგრამ როგორ მოისვენებთ, როდესაც ყოველთვის არ გაკლიათ გულის გამგმირავი ამბები იმ პირზე, რომელიც აგრე ძლიერ მოქმედობს თქვენზე!

ქეთ. არა უშავს'რა! მე ვიცი და ჩემმა საქმემ. ისე არ მოვდუნდები, რომ ვერ დავინახო ადამიანის ავი და კარგი (მოსაწყენი სიჩუმე ჩამოვარდება)

პალ. კნიაჟნა!

ქეთ. რა გნებავთ?

პალ. თქვენ უნდა წახვიდეთ აქედან. მოვალეცა ხართ ასე მოიქცეთ, რადგან თქვენი თავი მარტო თქვენ არ გეკუთვნით. აქედან უნდა წახვიდეთ!

ქეთ. წავიდე? მერე სად? ვისთან? რა მეგულება ამ სოფლის გარედ?

პალ. არამც თუ ამ სოფლის გარედ, არამედ შორს, შორს თვით საქართველოზედაც.

ქეთ. მერე? წავიდე იქ, აქ კი დავტოვო ნათესავები, მეგობრები! წავიდე იქ და აქ დავტოვო ჩემი. . (გასწყვეტს)

* * *

რაც შენ დამშორდი, ეხ ტურფავ, თვალნი ცრემლს ღვრიან ცვარადა,
აწ დაკოდილი, ეული დავდივარ მთა და ბარადა:
ყველასა ვკითხავ შენს ამბავს, მოკითხვის დასაბარადა,
ნეტა სად წახველ, მიჯნურო, ვის უერთგულებ მარადა?..

—

მე კვლავ ვესტუმრე ხუჭუჭ ბაღს, სად შეგხვდი პირველ მღიმარეს,
ყვავილებს ჰკრეფდი სინაზით და შუქსა ჰფენდი იმ არეს;
მზესა სწუნობდი, მაგრამ მზე არ გშორდებოდა წამითა,
და მთვარე ბაღჩის დედოფალს ს-ცილს გაფრქვევდა ღამითა!..

—

მომიახლოვდი ღიმილით, ტრფობით მომიძღვენ სოსანი,
და იმის შემდეგ შევიქმენ შენი მონა და მგოსანი;
ბევრჯელ, შეგიქე სიტურფე, გიშრის თვალები გრძნეული...
ვაგლახ! წახველ და წაიღე ჩემი ფიქრების რვეული...

ი. დაროშვილი

პალ. (უფრო სიტყვას ხაზ გასმით ამბობს) დიაღ, თქვენ უნდა დასტოვოთ აქ ისინი, რომელთაც ვერ გიცნეს, ვერ დაგაფასეს, არ გაღვიარეს დედოფლად, დიდების გუნდრუკი არ გიკმიეს! უნდა წახვიდეთ იქ, სადაც უმანკოებას ღირსეული ფასი აქვს, თორემ თუ აქ დარჩებით, ვერ იცოცხლებთ, დასჭკნებით და ეგ ხომ საწყენია მახლობელთათვის, რომელთ შორის იქნება აღმოჩნდეს ისეთიც, რომელმაც ვერ აიტანოს თქვენი დაკარგვა!

ქეთ. მერე, პალიკო, გჯერათ, რომ მივაღწევ თქვენგან დანიშნულ წმინდა ადგილს? დარწმუნებული ხართ, რომ იქაც არ წამყვება წამება, ტანჯვა-ვაება?

პალ. თქვენ უსათუოდ მიაღწევთ ბრწყინვალე ადგილს. მჯერა, მწამს აგრეთვე, რომ ეგ ნაღველი და სევდა დიდიხნის განშორებული წვეულია, მაგრამ ძალ-ღონე უნდა მოიხმაროთ, ზურგი შეაქციოთ, ხორც-შესხმულ უმადურ არსებათ! ნიჭს ემსახურეთ, ზარდეთ იგი, აფართოვეთ. იქ, სადაც მე ვიქნები მარტო, იქ არის თქვენი ძლიერება.

ქეთ. ნიჭი ვასაზრდოვო, მხატვრობას თავი შევწირო? რითი? ჩვენი ქართველური ნიადაგ გამოცლილი ოცნება ხომ არ არის, პალიკო?

პალ. არა, ქეთინო, ამ ოცნებას, ამ სურვილს, მტკიცე ნიადაგს აღმოუჩენს თქვენი ძმა და მეგობარი პალიკო! მთელ თავის მამულის შემოსავალს თქვენ მოგართმევთ, და გეტყვით: ძვირფასო დაო, აი ყველა ეს იყვეს თქვენი ჭირის სანაცვალო, ისარგებლეთ მით, როგორც თქვენ გენებებათ, მეც მიმსახურეთ, როგორც უკანასკნელი მონა!

ქეთ. გმადლობთ, პალიკო, მაგ მსხვერპლისათვის... ჩემს თავს არას დროს ნებას არ მივცემ ვისარგებლო მაგით მაშინ, როდესაც მაგიერის გადახდა არ შემიძლიან!

პალ. არა, ქეთინო, არაფერში არა გთხოვთ თანაგრძნობას. მარტო ნუ დაიშურებთ მეგობრულ განწყობილებას და ძმისიყვარულე ძმად მიგულეთ. პატიოსნებას გეფიცებით, ამაზე, მეტის თხოვნით, თქვენ არ შევაწუხოთ. მიიღეთ ჩემი რჩევა და წადით იტალიას.

ქეთ. პალიკო, ძვირფასო მეგობარო, მაპატიეთ... ვერ წარმოიდგენთ, რა უბედური ვარ, მაგრამ მაინც გეტყვით დაუფარავად .. რომ ოქრო მიყვარს გაგიჟებით, უნებურად!

პალ. მერე ვინ გიშლით, ძვირფასო? ვინ გაყვედრით სიყვარულს?

ქეთ. სინდისი, გონება... გული გატაცებულაი, არავის სიტყვა-რჩევას ყურს არ უგდებს... შემიბრალეთ!

პალ. ჰო-და კიდეც მაგისთვის უნდა წახვიდეთ... მოიწოდეთ ხასიათის სიმტკიცე. მიენდეთ თქვენს ერთგულ ნიჭს, მაშინ უფრო

ჩემი სიზმარი ახლა

ალექსანდრე იმ დღეს ძალიან მორიდებით მავალებდა, რომ ბანკში საქმეები გამეგო — თუ ფეხი არ დაგიწლის ბანკში შეიარეო. ორჯელ მომიხდა ბანკში შესვლა.

სულ ათი წუთი არ გასულიყო, რომ ერთმანეთს დავშორდით და რაც ამბავი მოხდა იმ დღეს ვერა გავიგერა, რადგან დიდუბეში ვცხოვრობ.

არხეინად დავიძინე.

ძილში გამომეცხადა ქალი თეთრი სამოსელით და ხმა-მაღლა მომესმა: „ალექსანდრე აღარ არისო“

გამეღვიძა. თენდებოდა. უცნაური იყო ჩემი სიზმარი, თუმცა ბევრჯელ ამხდომია, მაგრამ არა მჯეროდა, შეშფოთებული კი ვიყავი.

შვიდის ნახევარზედ გაზეთები მომიტანეს, დანდობილი ვკითხულობდი, არას მოველოდი. „საქართველოს“ მესამე გვერდზედ თვალი მოვკარ: ალექსანდრე უეცრივ გარდაიცვალაო. ზეზე ვამოვიჭერ, მეტის სიმკაცრით ტუჩები ჩავიკვნიტე, დავიძახე: ჩემი სიზმარი ახდა!

გავეშურე, რომ უკანასკნელად სინამდვილეში დავრწმუნებულიყავ.

უცნაურია ეს სიზმარი და უცნაური იყო ალექსანდრეს ასე მოულოდნელად გარდაცვალება!

დუშიკო ფალავანდიშვილი.

შეიძლებთ ოქროს დაფასებას, ასე ღვთის გულისათვის, ქეთინო, შეისმინეთ ეს ვედრება, თუ გინდათ ჩემი სიცოცხლე, ჩემი ბედნიერება, შეისმინეთ ჩემი ხვეწნა, მუდარა!

ქეთ. ბალიკო, როგორ წავიდე თქვენს ხარჯზე იტალიაში? რას ემგვანება! სინდისი განა მომასვენებს, როცა გაგცარცავთ თქვენ პატიოსან ადამიანს?

პალ თუ ღმერთი ეწამთ, მაგას ნუღარ მიმეორებთ! შეიწყნარეთ ჩემი თხოვნა!

ქეთ. ნება მომეცით მოვიფიქრო.

პალ. დიდი სიამოვნებით, რავდენი ხანიც გსურთ, ოღონდ კი ნუ მომაკლებთ ამ იმედს, ამ ნუგეშს.

ქეთ. კარგით სწორედ ერთ წელიწადი იყოს ვადა.

პალ. არა, ეგ ბევრია, დაუკელით!

ქეთ. ათი თვე?

პალ. არა, ეგეც ბევრია!

ქეთ. მაშ რავდენი გინდათ?

პალ. ორი დღე, თუნდ ერთი საათიც!

ქეთ. ოხ, არა! არ შეიძლება!

პალ. თქვენი ნება აღსრულდეს... დამინიშნეთ ვადა, რომელსაც დავემორჩილები!

ქეთ. ნახევარი წელიწადი იყვეს.

პალ. თქვენი ნება იყვეს, მაშ ასე მშვიდობით!

ქეთ. მშვიდობით!

(ბალიკო კაკა, ქეთინო მარტო დარჩება, მივა ფანჯრასთან, მიეყუდება და ნაფდანად დაუწყებს ყურებას შორს სივრცეს მის სახეს მთვარის შუქი მიანდებს)

ფ ა რ დ ა

მოქმედება მეხუთე, სურათი მეცხრე

მეოთხე მოქმედების შემდეგ კანფეტ ექსპა წყდიწყდა მოქმედება — ობიდის ში. თავ. ოქრო სარდანიშვილის ოთახი, დარიბულად მოწყობილი: მარტხნივ კროტი, შეგ წევს ოქრო, მძიმე ავადმყოფი. მის ახლო პატარა მაგიდა ზედ წამლების შუშები და რეცეპტები, კუთხეში „ატარა მაგიდაზე დამპარი, წითელ ბანჯურ ხამოფარებული, ისე რომ მთელ ოთახს ეფინება წითელი შუქი, ძირს ხალიჩაზე მოკეცილი ზის დედაკაცი ნინო და ეურს უგდებს ავადმყოფს, ოქრო ძალიან კამხლარა. ეფითელი ფერი აქვეს, დრო კამოშვებით მოისმის მისი ურე ხვეალა.)

I

ოქრო და **ნინო.**

ოქრო. (ახვედებს) ნინო, მიშველე მინდა მაღლა ავიწერო. ბალიშები გამისწორე.

ნინო (აადგება, უსწორებს ბალიშებს ოქრის მაღლა აწევას უშველის. ოქრო ნახევრდ წამოდგება) კარგა ხართ ასე?

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

თბ. გუბ. სახალხო მასწავლებელთა დამფუძნებელი კრება

დიდია მოვალეობა სახალხო მასწავლებლისა; სახალხო მასწავლებლის ხელშია ბედი ჩვენი მოზარდი თაობისა, მას უჭირავს ხელში ლამპარი წყვიადის განსაფანტავად, მაგრამ.. მაგარიც ის არის რომ ჩვენი მასწავლებელი ვერ სდგას თავის სიმაღლეზე, ვერ წარმოადგენს ვერაფერს ძალას. ან რა ძალა უნდა ჰქონდეთ დაქსაქსულ, შეუკავშირებელ მასწავლებლებს; დიდი ხანია გაისმოდა მკრთალი ხმა მასწავლებლების შეერთება-შეკავშირების შესახებ, მაგრამ ეს ხმა მღაღადებლის ხმად რჩებოდა... წელს კი ყოველივე დაბრკოლება ძლეულ იქმნა და ჩაეყარა საძირკველი მასწავლებელთა საზოგადოებას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მასწავლებლის სულიერ და ნივთიერ განვითარებას.

ხუთი ივნისი მიმდინარე წლისა, როცა პირველად დაიწყო დამფუძნებელი კრება მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოებისა, ოქროს ასოებით ჩაიწერება ჩვენი სკოლის ცხოვრებაში. პირველ ორ კრებაზე სახეზე ყველას ღიმილი ემჩნეოდა, ყველას უხაროდა, ყველა სასიამოვნო შვებას გრძნობდა, მაგრამ დადგა გამგეობის წევრთა არჩევნების დრო და ეს სასიამოვნო სურათი შეიცვალა... პარტიულმა სენმა შეიპყრო კრება, გაჩნდა ჯგუფობრიობა, თითოეულმა ჯგუფმა წამოაყენა თავისი კანდიდატები, შეიქნა აგიტაცია, გამოვიდნენ თითოეული ჯგუფიდან დამცველებად „პრისაჟნი პოვერენები", რომლებიც მხოლოდ პარტიულ ქინით ხელმძღვანელობდენ და არა ჩვენი სკოლის კეთილ დღეობით... შეთანხმება შეუძლებელი შეიქმნა, დათმობის გზას არც ერთი ჯგუფი არ დაადგა. ასტყდა ჩოჩქოლი... დიდი მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა არჩევნები მოხდეს ფარული კენჭის ყრით. 9 ივნისის კრებაზე გამოცხადდა არჩევნების შედეგი. არჩეულია: თავჯდომარედ ვ. ბურჯანაძე, წევრებად: პეტროვი, როსტომიანი, წერქვაძე, და ქ-ნი ელიავა. ქ-ნ ელიავას არჩევანი უკანონოდ იქმნა ცნობილი (მიუღია 120-თეთრი, 130-შავი). ფედერალისტების ერთმა ჯგუფმა დაბეჯითებით მოითხოვა პრეზიდიუმის რეზოლიუცია იმ განცხადების შესახებ, 95 კაცმა რომ წარადგინა, რომლებიც ამტკიცებდენ არჩევნების უკანონობას და ხელ-ახლად მოითხოვდენ არჩევნების მოხდენას. თავმჯდომარემ უყურადღებოდ დასტოვა მათი განცხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება და კრებას წინადადება მისცა ქ-ნ ელ-ავას მაგიერ სხვა კანდიდატი დაესახელებინათ. ამის შემდეგ ერთმა ჯგუფმა პროტესტი გამოაცხადა და დემოსტრატიულად გავიდა დარბაზიდან. დარჩა მცირე ნაწილი; დაასახელეს ლ. ჩიმაკაძე, რომელმაც უარი განაცხადა, ბოლოს ერთ ხმად აირჩიეს ბ-ნი არ. მამულაიშვილი. იმ დღესვე მოხდა სექციებად დაყოფვა. ეროვნების მიხედვით კრებას დაესწრო 250 ნამდვილი წევრი, რომლის სამ მეოთხედს ქართველი მასწავლებლები შეადგენდნენ; ქართულ სექციის წევრებად თითქმის ერთ ხმად აარჩიეს: ქ-ნი მ. წერეთლისა, ტ. ხმიადაშვილისა, არდაზიანი, თ. ჩიჯავაძე და ლ. ჩიმაკაძე; დასრულდა არჩევნები. პარტიული ერთ-ერთ მოდალული კრება გამოაცოცხლა ლექტორმა დ. უზნაძემ, რომელმაც წაიკითხა ლექცია „ექსპერიმენტალური პედაგოგიკის“ შესახებ; კრების ყურადღება მიიპყრო შინაარსიანმა ლექციამ და ლექტორის მჭერმეტყველობამ. მას მოჰყვა ლექცია პრივატ-დოცენტ ყიფშიძისა, ლ. ბოცვაძისა და სხვ.

დაწესდა ფილიალური განყოფილებანი: სიღნაღის, თელავის, გორის და ფუშეთის მაზრებში და მათი დროებითი გამგეობანიც აირჩიეს.

11 ივნისს გადიხადეს პანაშვიდი უკვდავ პედაგოგ ი. გოგებაშვილის სულის მოსახსენებლად.

12 ივნისს მოხდა წ.-კ. საზ—ში ქართულ სექციის კრება; კამათი აღიძრა ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების შესახებ.

კრებაზე გამოირკვა, რომ ქალაქის სკოლის მასწავლებლებს ქალაქის სკოლებიდან ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები გამოუდევნიათ; ამ გარემეობამ აღშფოთება გამოიწვია პროვინციელ მასწავლებელთა შორის, რომელთაც ქალაქის მასწავლებელთ განმარტება მოსთხოვეს. მათაც წარმ-შეუხრელად განაცხადეს: გოგებაშვილის სახელმძღვანელოს არც სისტემა უვარგა და არც მეთოდიო; ყველა გრძნობს, რომ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს განხილვა, შესწორებაეპირვება რაც შეეხება მეთოდს, ის საღ პედაგოგიურ პრინციპებზე დამყარებული და შეთანხმებული დედაენ.სთან. სახელმძღვანელოებს შეერთებულის ძალით უნდა შესწორება და არა დევნა სკოლებიდან. კრებამ დადგინა: მტკიცეთ იქნეს დაბეჭდილ წესნს სკოლებში განსაკუთრებულის ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები და ეკონომიურ ზომა იქნეს მიღებული სახელმძღვანელოების დაჩქარებით შესწორების შესახებ.

პედაგოგიური ჟურნალის შესახებ კრებამ დაადგინა: რადგანაც ჩვენში პედაგოგიური ძალები ცოტაა და რაც არის მისი დაქსაქსვა საჭიროა, ამისათვის მოეწ სპეციალურ ჟურნალში უნდა დაარსდეს მარტო ერთი, მაგრამ ყოველ შხრივ შინაარსიანი მეცადინეობა ეკონომიურ ჟურნალი ამ საკითხის საბოლოოდ გამორკვევა დაევალა სექციის გამგეობას.

საღამოობით ხდებოდა კრებები წ.-კ. საზ-ების სკოლების მასწავლებლებისა; განიხილეს და შეასწორეს სანიმუშო პროგრამა: შეასწორეს „დედა-ენის“ პირველი და მეორე ნაწილი. კრებაზე განიხილეს აგრეთვე საპენსიო კასის წესდება, რომელიც ცოტა შესწორების შემდეგ მოიწონეს და დამტკიცეს.

14 ივნისს მასწავლებელნი წავიდ-წამოვიდნენ.

გრ საქარიქიდელი.

ქართული ფილარ. საზოგ. განეოფილება ქ. ქუთაისში.

მ. დობჟანიძის თაოსნობით ქუთაისში არსდება ქართ. ფიდარმონიულ საზ ის განეოფილება. განსაზღვრულია ენკენისთვეში დაარსონ მუსიკალური სკოლა, შეადგინონ ერთგვარი გუნდი, რომელიც იმღერ-ოგდობებს სავარო და სასულიერო სიმღერა-ბადობას, ეცდება მომავალში შეგროვებოს და კამათსტვის ერთგული ჭეშტები, მოაწყოს ბრძოლიცაობა კონცერტები და სხვ.

ვ მიაისს ბიუროში არნეულ იქმნენ: კარსეგანიშვილი ა., ფუთურიძე გ., დობჟანიძე მ., მაღრაძე ვ., თავ. მიქელაძე, მამა რ. ხუნდაძე და ქმნი მ. და ნ შარაბიძენი. არნეულებმა კანაწეფეს თანამგზავრებმა: თავჯდომარედ—ბ. კარსეგანიშვილი, მის ამხანაგად—ვ. მაღრაძე და მ. შარაბიძე, მდივნად—მ. დობჟანიძე.

ნებართვის შემდეგ, მოწეულ იქმნება ბიუროს მიერ დამუშავებული კრება, რომელიც აირჩეულ კამეგობას.

ქ. ქუთაისს მიემატება ერთი კულტურული საზოგადოება, რომელიც ემსახურება საშემადო ხელოვნების ეუკეგეებს. ეუსურეგეო წარმატებას

დ. ქ—ი.

ქარიშხალს

დაუბერე ქარიშხალო! მომაცალე სევდის რიდე!
ჰმუნვარებავ, შავო ფიქრო, განმეშორე, განმერიდე!
ყოფნის ტალღავ, ამქუხარდი! მე ავუშვებ ბრძოლის ნავსა
და თუ სადმე შთავინთქები, დავიღუპავ ქინით თავსა,
მაშინ ცაო ლოცვას გეტყვი, რომ უფსკრული მითავაზე—
მე სიკვდილი მენატრება ბრძოლისა და ძებნის ზღვაზე!

ს. ამაშუკეთი

სიმ. წეველი

გაზაფხული

გაზაფხულდა! გაიფურჩქნა ველზე ტურფა ყვავილები,
არე-მარეს მოეფინა სიცოცხლის და შვების ხმები;
აღზდგა კიდით-კიდე განახლების იგრძნო ძალა,
და ბუნების სილამაზე, ფერად დროშად გაიშალა?
აგერ ცაზე ცეცხლის ბურთი, სხივთა ფრქვევით აციმციმდა,—
გულს მოეშვა, ზეციური სიყვარულით აქვითინდა,
სასოებით, სათნოებით გადავხედე მინდორ-ველსა
და ვთქვი: ღმერთო! როგორ შვენის მზე სამშობლოს საყვარელსა!
მაგრამ ფიქრი, შავი ფიქრი გულში შხამად ჩახუთული,
საიდუმლო მწუხარება, ერის ტანჯვა, ერის წყლული,
მომაგონდა და მწუხარედ გულს აღმოხდა მწარე კვნესა:
ღმერთო, ღმერთო რისთვის გვართმევ სინათლეს და სიცოცხლესა?!.
ცა კი სდუმდა... არე-მარე თუმც ცქრიალით ციმციმებდა,
მესმოდა რომ ერის გული ცრემლ-მორევით ქვითინებდა
და ბუნების სიხარულზე, ვით ფერადი მწუხარება,
მშობელ მიწას დასტიროდა თავ-დახრილი ყვავილთა კრება...

მარტი 1916 ქ. თბილისი.

აპოლონ ხაჟალია

პოდპ. დავ. ალ. ცაგარელ
მოკლულია ტრაპიზონთან
ბრძოლაში 1 აპრ. 19 6 წ.,
დაბად. 24 წ. დაჯილდოებული:

სიზმარი სანგრებში

(მოთხრობა)

(გაგრძელება. იხ „თ და ც.“ № 26)

გავიდა სამი თვე, რაც თედომ და მისმა პოლკმა ვარჯიშობა დაიწყო. საჭირო ცოდნა ჰაიჰარა, საჩქაროდ შეასწავლეს და ბრძოლის ველისკენ გასტუმრება მოულოცა პოლკს მისმა უფროსმა.

ის იყო მივიდნენ ბრძოლის ველზე, რომ გამოვიდა ბრძანება, მარცხენა ფრთაზე ჩვენს ჯარს დიდი ზიანი მიაყენა მტერმა და ჩქარა მიეშველენითო. ახალმა ძალამ უკან დაახევინა მტერსა, მაგრამ ბინდისას მტერი ისევ მოაწვა. უშველებელ მანქანასავით მოდიოდა, რომელიც სრესავდა ყველაფერს, რაც კი წინ ელობებოდა, ყველაზე წინ მოდიოდა ტყვის მტყორცნავთა რაზმი, რომელიც სულთამხუთავივით ხალხსა სცელავდა, ტყვიის მტყორცნავების წვრილ ხმას ბანს აძლევდა უზარმაზარი ზარბაზნები, რომლის ტყვია ირგვლივ ცეცხლის შუქს ჰფენდა და ჰაერს აზანზარებდა.

ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია. შევიდა სოფელში, სანგრებში ჩაესაფრა მტერსა და თოფის სროლით დაუხვდა. სოფლის მეორე ნაპირას გამაგრდა. ცოტა ხანს თითქო სიჩუმე ჩამოვარდა. თოფის ხმა არ ისმოდა. თითქოს ორივე მხარე ძალღონეს იკრეფდა და ისევ საომრად ემზადებოდა.

აი, ჰაერში რაღამაც გაიზუზუნა და ზედ სანგრების გასწვრივ გასქდა შრაპნელის ტყვია. თედოს გვერდით მყოფ ჯარის კაცმა დია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვნესა: საბრალოს მარჯვენა ხელი და გვერდი ამოღადრული ჰქონდა. თედომ თოფს თავი დაანება, ჯიბეს იკრა ხელი, ამოიღო ბაბა, „მარლა“ და საცოდავს ჭრილობა შეუხვია. თან ანუგეშებდა თავისი დამტვრეული რუსულით:—“ნიჩიეგო, ეფიმკა, ნიჩიეგო“. შეეცადა კიდევაც მისს სანგრებიდან გამოყვანას და ექიმთან წაყვანას, მაგრამ ვინ გაბეზდავდა, როდესაც გერმანელებმა შრაპნელის სროლას მოუხშირეს. ახლა სანგრებშიაც-კი საშიშო იყო ყოფნა, მაგრამ სად წავიდოდა?

აფიცერმა ბრძანება გასცა: ტყვიას გაუფრთხილდით, როცა მტერი მოახლოვდება, მაშინ ხიშტებით შეუტევთო. მაგრამ გერმანელები თითქოს ტრაპახობდნენ, ბევრი ტყვია წაიღო გვაქვს და არა ვზოგავთო. ამიტომ უწყალოდ ისროდნენ. ჩვენები ტყვიას უფრთხილდებოდნენ,

ეს მოხდა გათენებისას. მტერმარა დაატყო სროლა

უფრო მოუხშირა. საქმე ცუდად იყო.

— აბა, ძმებო,—მიჰმართა აფიცერმა ჯარის კაცებსა,—ტყვია აღარა გვაქვს. გულხელ დაკრეფილი რომ ვისხდეთ აქა, მტერი მუსრს გაგვავლებს, ამოვიდეთ სანგრებიდან და გავიქცეთ, უარეს დღეში ჩავცვივთ. საჭიროა ცოტა ხანს კიდევ გაუძლოთ, იქნებ ჩვენ საშველად მოდ ან, ამიტომ წავიდეს ვინმე და მიიტანოს რამდენიმე ყუთი ტყვია.

გამბედაობით ცნობილმა ჯარის-კაცებმაც კი უკან დაიხიეს. მიმართვამ რომ ვერ გასჭრა, ეხლა აფიცერმა თხოვნა-მუდარა დაუწყო: არავინ ინძრეოდა. ყველა მოღუშული სახით იჯდა სანგარში.

— შენ, კირილენკო, ისევ შენ წადი, მიჰმართა აფიცერმა ერთ ჯარის-კაცსა.

— არა, თქვენო კეთილშობილებავ, ვერ გავბედავ ამ ტყვიის სეტყვაში,—მიუგო ჯარის-კაცმა.

— აბა, მაშ შენ წადი, ნიკიფოროვ!

— ვერა, თქვენო კეთილშობილებავ!.. და ასე სათითაოდ ყველასა სთხოვა. ჯერი თედოზე მოდგა.

— ეჰ, სულ-ერთია, ახლა მოვკვდები ერთი საათის შემდეგ, თუ ერთი დღით გვიან,—გაიფიქრა თედომ,—წავალ და ჯანდაბას ჩემი თავი!

— სლუშაიუს! —მიუგო თედომ აფიცერსა, ამოვიდა სანგრიდან და მუცლის ხოხვით გზას გაუდგა.

ის იყო ჩირგვს ამოეფარა, რომ მის გვერდით ყუმბარა გასქდა. თედო გადარჩა, მხოლოდ ცოტა მიწა შეაყარა სახეში ყუმბარამ. ცოტა ხანს მოიცადა და ისევ მუცლის ხოხვით მიცოცავდა თედო...

სანგრებში მყოფებმა რაღაც რახა-რუხი გაიგონეს. პატარა ხანში ნახეს, რომ ტყვიით დატვირთული „ტელეგკა“ ვიღაცაც სახლის ნანგრევს ამოაფარა. აი „ტელეგკიდან“ ჯარის-კაცი ჩამოხტა, მოიკიდა ზურგზე ორი-სამი ყუთი და სანგრებისაკენ გამოიქცა. ის იყო სანგარს მოახწია, რომ ზუზუნა „შრაპნელმა“ ბარძაყში ძვალი გადაუტეხა. „ვაიმ“, დაიძახა ჯარის კაცმა და ყუთებიანად ძირს დაეცა.

სანგრებში მყოფმა ჯარის-კაცებმა იცნეს თედო. სინდისმა შეაწუხა ისინი. ახლა-კი ყველამ მოისურვა სანგრიდან ამოსვლა და მისი შველა. მაგრამ აფიცერმა აუკრძალა ყველას ამოსვლა და ბრძანა რამდენიმე-კაცი გასულიყო, ტყვიის ყუთის მოსატანად და თედოს საშველად. თედო სანგარში ჩაიყვანეს და ჭრილობა მაგრა შეუხვიეს. აფიცერი თედოს გადაეხვია და მისი სიმამაცით გახარებული ანუგეშებდა:

— Ты будешь у насъ въ ротѣ первымъ георгіевскимъ кавалеромъ; я тебя представлю къ кресту.

სროლა სანგრებიდან სანგრებში დიდხანს აღარ გაგრძელებულა. მალე მაშველი, ჯარი მოვიდა და ხიშტებით მტერი უკუ აქციეს. თედო კი საავადმყოფოში გამოისტუმრეს.

(გაგრძელება იქნება)

მირ. ხორაველი



ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილები მეგობართან

ქირთველ მუსულმანების შესახებ

ამ თავითვე ჩვენი ხალხის მტრები სცდილობდენ ქართველ ერის დაეთიშეს, დაეუღმაცებს, მათ შორის მტრობის დათესვას .. ამ მიზნის გასანსორციელებლად შეთითხნეს მეგრული ანბანი, და ასე გასინჯეთ, ფოსტორგოი აპირებდა ამ ერდებისთვის სასუფარ ანბანის შედგენას..

დღიდან ბათომის მხარის რუსეთთან შეერთებისა, ბიუროკრატია ეთვალ დონის ძალითი სცდილობდა ქართველ მუსულმანთა და ქართველ ქრისტიანთა შორის არ მოიხდარეთ ერთობა.. ამ ერთობის მეოხებით ქართველთა რიცხვი გაიზრდებოდა, და ეველას ხომ არ ეპატნესვებოდა ამ რიცხვის გაზრდა!. სცდილობდა ქართველ მუსულმანთა შორის დაენიშნა სტამბოდიდმენ მოსული, მეტად ფანატიკოსი მოდები და ხოჯები რომელნიც ეარძალვდნენ მათ ქართულ ენის შესწავლას, რაც მათის აზრით ამათ გაქრისტიანებდა.

მართებლობამ აკრძალვის დაურეკა თოფები და გაამწესა დარჯებად ბათომსა და სხვა ადგილებში, რისთვისაც მცირე ჯამაგირს ადგენდა.. 1905-197 წლებში ქართველი მუსულმანები დარჯებად იყვნენ ქართველ ქრისტიანთა სოფლებსა და ქალაქებში.. ზოგან ქართველ მუსულმანებს მოთვრობის მამასხსენებლებად ნიშნავდენ.

რას გამოიწვევდა ეს მოვლენა?!— ეთითოეულს, ეტაცდეკვებს, ორს ბანკად ეკუთვნეს, ორი სეფულის მოძმეთა შორის სიძულვილს.

ერთხელ ბიუროკრატიის ჩაეხენებით ქართველ მუსულმანების ყითოთ წარმომადგენელებმა ცოვი ულრი სიტყვის ერობის შემოდებაზე...

ქართველ მუსულმანები უფრო აკრძალვან ძალიერ ეტანებოდნენ თოფ-ალრძალს, მისი ხმარებიც კრძალულ იყოდენ და შესახედავთა ეოჩალები ეყვნენ... მოვალი ადე თოფით ალრძალებდა აკრძალული.. მეშობას, კრძალს ხოფელში ერთობოდა, ესაქმობას ეჩვეეოდა. სწავლა-განათლებისთვის არ ეცალა... ეს ნელნელა ნიადაგი ხალხის ფეხქვეშიდან ეცლებოდა.

ახალ დროს მსნე მოთხოვნილებმა სწავლა ცოდნის შესახებ ბიდალს დროს შეესმა აკრძალულ ურსა... დაეკვეთ თვისი ეასაქმურბა წარსულეთში... ადეს ალტვის ცოდნის და სულს ეს ცოდნა შეიძინოს თვის „ადიდეენაზე“ (ასე ეძახიან), თვის ეურკვეთ ენაზე. დარწმუნებული ვართ, რომ თოფ-ალრძალს მაგვარად ამის შემდეგ ქართველი მუსულმანი სამეურნეო ალრძალს კაკვამს, ქალდადს და წიგნს მოგკიდის ხელს... და სწორედ ამაშია წინდი მისი სასეეეოსა შობადისა

ადეს ქართველი მუსულმანი
„ამ შეგებით ეგეებ
ადრეთა ბრუნეს ჩარხის ტრიალს;
ეს შეკნეს გზას ანათებს
და ეკადის სხვა მამაყალს..
იქ ჩქეფეს წყარო ცხოვრებისა,
იქ ეოალის ბედი ტკბილი...
და ეკან კი წეედალ..
სამარეა და სიკვდილი. **ეენი ჩაქეხი.**

ნალჩიკის ქართველობა

ეკვა მეორე წელიწადია რაც ნალჩიკში ქართული სკოლა არსებობს და ამ მოკლე ხანში ეესამრნეი ნაყოფი გამოიეოო. სკოლის დაარსებამდე ნალჩიკელი ქართველები (გარდა ათი თორმეტი მეთაურისა) გულგრილად უყურებდნენ თავის ეროვნულ საკითხებს და ლამის ალდგავრების გზაზედ იდგნენ. დღეს-კი სულ სხვა ეეხედულებისა გახდნენ და თავისი ძვირფასი ქართული სკოლისათვის უკანასკნელ გროშსაც ალარ ზოგავენ. ამ ხანად სკოლაში ორმოცდა ათზე მეტი ბავშვის წ�და მიზრდილთა საკვარი. სკოლაცა არსებობს

ამასთან ერთად ეკვე კარგა ხანია რაც სკენის მოყვარეთა ჯგუფი შესდგა და მხნედ განაგრძობს სისტემატიურად ქართულ წარმოდგენების მართვას. სწორედ ამ წარმოდგენების წყალობით გახდნენ აქაური ქართველები ამ მოკლე ხანში ასეთი უცნაურნი და შეიყვარეს თვისი ფრიად მნიშვნელოვანი ეროვნული საქმე—სკოლა. წარმოდგენების საქმე ბევრად უფრო კარგად წავიდოდა, რომ სახლის სივიწროვე არ უშლიდეს საქმეს ხელს. ეს სახლი ქართველებს დრ ეგით დაქირავებული აქვთ, მხოლოდ დიდათ ეკელობენ, რომ შეიძინონ თავისი საკუთარი მიწა და შესაფერისი შენობაც აგონ. ამ მხრით ბევრი რამ ზომებია მიღებული, ფულიც არის მოგროვილი რამდენიმე, მხოლოდ ეს ფული მეცოდა ამ მოთხოვნილებასთან, რასაც გამოიწვევ ნალჩიკში საკუთარი მიწის შეძენა და შენობის აგება. მოწინავე ახოზადოების მოვალეობაა ყურადღება მიაქციოს სამშობლოდან სიდუბეროს

გ მო გ �მოსახლებულ მოძმეთ და შეძლებისდაგვარად-ნივთიერი დახმარებაც გაუწიოს სკოლას, რათა უფრო მ ეიღო ნიადაგზედ იქმნეს დაყენებული ეს ფრიად ძნიშვნელოვანი ეროვნული საქმე. დასასრულ არ შემიძლია ჩემი გულითადი მადლობა არ გამოვეცხადო ნალჩიკის სკოლის გამგე-მასწავლებელს ბ-ონ სამსონ მუმფილას, რომელიც გასაოცარი ენერგიით თავდადებულად მუშაობს და მაგალითს აძლევს ბევრს ქართველ თავისი დაუღალავი შრომით. ვეესურვებთ ჯანმრთელობას ნალჩიკის სკოლის საბედნიეროდ, ხოლო ადგილობრივ ქართველობას მეტს სიფხიზლესდა მუშაობას თავის ეროვნული კულტურის გასაფურჩჩქნად.

ი. ლო—ძე

წვრილი ამბები

◆ **ქართ. დრამ. საზოგადოებამ** მსახიობთ ელ ალ.-მესხიშვილსა და ვ. გუნიას პენსია დაუნიშნა, თითოს წლიურად 840 მან.

◆ **ქუთაისის ქართ. ბიბლიოთეკის მოწყობენი** 24 თებერვეს კახეთის გაემგზავრენ საკულტურსიოდ. კახეთის დათვალიერების შემდეგ სამცხე-საათაბაგოს შემოიცვლიან ფეხით.

◆ **ივ. გოგოლაძეთელი** საზოგადოებისა დასასვენებლად კისლოვოდსკს გაემგზავრა.

◆ **საბურთალოს წარმოდგენები** გამართავს მსახიობი ი. ზარდალიშვილი ი. გრიშაშვილის მონაწილეობით 20 მკათათვეს ბორჯომში, 25 მკათ თვეს—წაღვერსა და ახასთუმანში.

◆ **დ. ხაფურის** ქორ. დრამ წრე მკათათვის შუა რიცხვებში წაღვერში წარმოდგენას მართავს საკუთარ ძალებით.

◆ **დ. ხაფურში** **გოკიაშვილის** მიერ 26 თებერვეს გამართულ ქართულ კონცერტზე მიუხედავად ცუდი ამინდისა, ხალხი ბლომად დაესწრო. კონცერტი როგორც ელოდნენ, ისეთი ვერ გამოდგა. პროგრამა უფერული იყო

◆ **ხონის დრ. საზოგ. გამგეობამ** რეკისორად მიიწვია მ ახიობი ალ ყალაბეგიშვილი

◆ **ხონში დაკარგდა** დრამატიული საზოგადოება. გამგეობის წევრებად ამორჩეულ იქმნენ: ექიმი მიხ. ჩხენკელი (თავმჯდომარე), ლ. სანოძე, ლ. ჩხენკელი, ი. ბაკანიძე, ნ. შაფაქიძე, რ. წიფლიანიძე და კ. უგულავა, კანდიდატ: ს. ჯორბენაძე, ევ. სანდიროძე.

◆ **ხონის დრამატ. საზოგ-ის** გამგეობამ ზაფხულის სეზონისთვის მ. მდივანის, ი. ლოლიბერიძისა და ალ. ყალაბეგაშვილის გარდა მოიწვია ბ-ნი მ. ნემო და ა. მურუსიძე. ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან მონაწილეობენ: ქ-ნი მ. ბალანჩივაძე, ფ. ბახტაძე. ლ. ჭანტურიშვილი. ბ-ნი ი. რუხაძე, ო. წიფლიანიძე, ი. ბაკანიძე, დ. მებუკე კ. ქუთათელაძე, ამ ბახტაძე, გ. ბახტაძე და სხვ.

◆ **ათი წელი** შესრულდა რაც ხონში სისტემატიურად წარმოდგენები იმართება.

◆ **ვასო აბაშიძე** ამ ზაფხულს სამკურნალოდ მიემგზავრება წყალტუბოს, იქიდან—სარეხერეს დასასვ.

◆ **პროფ ალექ. ცაგარელი** ამ ჟამად თბილისში იმყოფება და ერთი კვირის შემდეგ კისლოვოდსკს გაემგზავრება.

◆ **ვ. აბაშიძე როლებში,** საუცხოო სურათი, გამოსცა ვ, არაბიძემ პეტროგრადში. შუაში ვასოა ირგვლივ იგივე ათ სხვა როლში. ღირს 1 მ. 50 კ.

◆ **ბანო სარაჯიშვილი** ამ ჟამად ახალი კლუბის საღამოებში მონაწილეობს.

სახალხო სახლში 18 თებერვეს ზ. გომელაურის თაოსნობით გაიმართა სალიტერატურო-სამუსიკო და იუმორისტული საღამო. საღამოს დაწყებამდე, ბ. ზ. გომელაურის თხოვნით, დამსწრეთ სახლი გადოებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ახლად გარდაცვლილ ლებულთა ალ. თევ. ყიფშიძის და ალ ბაღ. შიხინოვის ხსოვნას. ვანო სარაჯიშვილმა იმღერა ახალგაზდა კომპოზიტორ ირაკლი ჯაბადარის რომანსი „ნუ ვინ იტყვის ოლობისა ვიებს", რაიც საზოგადოებას ძლიერ მოეწონა და გაამეორებინეს. ამღერეს კიდევ რამდენიმე რომანსი. საზოგადოებას მოეწონა ქ-ნი ო. აგასოვისაც, მოხდენილი სიმღერის გ მოლექსები წაიკითხეს ი. გრიშაშვილმა, გ. ქუჩიშვილმა და ი. დარიშვილმა (გრიშაშვილისებურად); ი. ზარდალიშვილმა ებრაული სცენები. ჩვენმა მუდამ უტკბობმა ვასომ ვიოლ ვიოდ. „არე აქეთ-არე იქით" ში ბევრი აპლაუზა დამსწრენი, კარგები იყვნენ: ალ. იმედაშვილი, ი. თარალაშვილი, სპრაული, ხონ. ლი. პროგრამაში დანაპირები სავსებით ვერ შეასრულეს: სხვათაშორის ილ. გოძიაშვილის გუნდმა არ იმღერა, რადგან გამგეს ქულაჯები ვერ მეოვნა. საზოგადოების ასე მოტყუება უზრდელობაა, არც ისაა კარგი, რომ გამოცხადებულ დროზედ ვერ იწყობენ, რიგიაც დამსწრეთა უკმაყოფილებას იწვევენ.

ახალი კლუბ

1 ივნისის პროგ
8 — 10 ივლისს

ოტრშაბათი — რუსული ოპერეტა

სამშაბათი — სიმფონიური კონცერტი

ოთხშაბათი — სინემატ. სიმფ. ორკესტრი

ხუთშაბ. — ქართ. წარმ. (ოფეს); ორკ.,

პარა კ. სინემატოგრაფი, სიმფონ. ორკ.

შაბ. — სიმფ. კონც., **სარაჯიშვილ.ს** მონაწ.

კვირა — საბავშო სალამო, ორკეს. სინემატ.

ფასებნი: კონცერტებისა საღამ. 9 სალ., წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. $8^1/_2$ ს.

სუფასებელი ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და ტუდენტები (ფორმ.) 65 კ. მამაკაცები 1.05 კ.

ქუთაისში
ბ. ზ. ჯაბადარის
ბ. ზ. ჯაბადარის
ქარხანები
ქ. ტფილისი, ბ. ბ. ბ.